სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზის პროგრამის დაფინანსება 2020 წლის გეგმით განისაზღვრა 115,0 ათასი ლარით. აღნიშნული პერიოდისათვის საკასო ხარჯმა შეადგინა 95,0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 82,6%-ია.


პროგრამის დასახელება	კოდი	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	02 09		115,0	95,0	82,6
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)				
განმარტება	პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 50,0 ათ. ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.				
მოსალოდნელი შედეგი	შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო სტანდარტებს.				

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსება 2020 წლის გეგმით განისაზღვრა 1372,5 ათასი ლარით. ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 1066,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 77,7%-ია.

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2020 წლის ბიუჯეტი			2020 წლის იანვარ - დეკემბრის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი (%)
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,372.5	268.7	1,103.9	1,066.2	56.1	1,010.0	77.7
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	77.0	0.0	77.0	77.0	0.0	77.0	100.0
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	25.0	0.0	25.0	21.7	0.0	21.7	86.8
03 03	დასუფთავება , ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა	947.9	0.0	947.9	911.4	0.0	911.4	96.1
03 04	საგრანტე პროგრამა „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის"	268.7	268.7	0.0	56.1	56.1	0.0	20.9
03 05	ნაგავშემკრები კონტეინერები	54.0	0.0	54.0	0.0	0.0	0.0	0.0

დასუფთავება და გარემოს დაცვა



დასუფთავების და ნარჩენების გატანის პროგრამის დაფინანსება 2020 წლის გეგმით განისაზღვრა **77,0** ათასი ლარით. აღნიშნული პერიოდისათვის საკასო ხარჯმა შეადგინა 77,0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,4%-ია.

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	03 01		77,0	77,0	100,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება				
განმარტება	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების მიზნით ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება ახორციელებდა ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 7 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. აღნიშნულ პერიოდში ღონისძიებების განმახორციელებელს ჩაუტარდა რეორგანიზაცია, რის შესაბამისადაც ჩამოყალიბდა ახალი ა(ა)იპ-ი ახალ პროგრამულ კოდზე აღნიშნული ქვეპროგრამის დაფინანსების ფარგლებში. გამომდინარე აქედან დარჩენილი რესურსი მიიმართა ახალ პროგრამულ კოდზე.				
მოსალოდნელი შედეგი	- გაუმჯობესებული სანიტარული პირობები; - მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა.				•

უპატრონო ცხოველების ოპერირების პროგრამის დაფინანსება 2020 წლის გეგმით განისაზღვრა 25,0 ათასი ლარით. აღნიშნული პერიოდისათვის საკასო ხარჯმა შეადგინა 21,7 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 86,8%-ია.

პროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების ოპერირება	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	03 02		25,0	21,7	86,8
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)				
განმარტება	პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაფინანსდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების ოპერირება.				
მოსალოდნელი შედეგი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება მაწანწალა ძაღლები				

დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ხედამხედველობის პროგრამის დაფინანსება 2020 წლის გეგმით განისაზღვრა **947,9** ათასი ლარით. აღნიშნული პერიოდისათვის საკასო ხარჯმა შეადგინა 911,4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96,1%-ია.

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	03 03		947,9	911,4	96,1
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება				
განმარტება	აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პერიოდში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების მიზნით დაფინანსდა ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება, რომელიც დასუფთავების ღონისძიებებს მუნიციპალიტეტის განსაზღვრულ ლოკაციებზე. კერძოდ ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას, გატანას, რომელსაც ემსახურება 7 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. შეგროვებული ნარჩენები გადის გეგუთის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 25 მ. კუბი ნარჩენი. ხოლო ცენტრალური პარკის ზედამხედველობის მიზნით სისტემატურად ითიბება ცენტრალური პარკის ტერიტორია, პარკში არსებული ბილიკები და და გაზონები. ასევე ქალაქის ტერიტორიაზე განხორციელდა ნაძვის და ჭადრისა ჯიშის ხეების შემხმარი ტოტების სანიტარული ჭრა.				
მოსალოდნელი შედეგი	- გაუმჯობესებული სანიტარული პირობები; - მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა.				•

საგრანტე პროგრამა „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“ პროგრამის დაფინანსება 2020 წლის გეგმით განისაზღვრა **268,7** ათასი ლარით. აღნიშნული პერიოდისათვის საკასო ხარჯმა შეადგინა 56,1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 22,3%-ია, სადაც დაზუსტებულ ასიგნებასა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30%-ს, რაც გამოწვეული იქნა საგრანტე პროგრამის ერთწლიანი დაფინანსების პერიოდით მოიცავდა ერთ წელს 2020 წლის მაისიდან 2021 წლის აპრილის ჩათვლით, ხოლო ჩამოსული გრანტის თანხა - ბიუჯეტი გაიწერა 2020 წელს მთლიანად. ასევე პროგრამის

ფარგლებში შეფერხდა რიგი ღონისძიებები COVID პანდემიიდან გამომდინარე (ტრენინგები, კონფერენციები, ქვეყნის გარეთ მივლინება და სხვა) .


პროგრამის დასახელება	კოდი	საგრანტე პროგრამა „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	03 04		268,7	56,1	20,9
პროგრამის განმახორციელებელი					
განმარტება		პროექტის ფარგლებში დაფინანსდა მნიშვნელოვანი საქმიანობა ნარჩენების სეპარირებული შეგროვების დანერგვისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, ევროკავშირის წარმატებული გამოცდილების გაზიარების გამოყენებით. პროექტის ფარგლებში დაიგეგმა ერთი ნაგვმზიდისა და სეპარირებისთვის საჭირო 60-მდე ბუნკერის შეძენა, 10 საკომპოსტე მოედნის მოწყობა, COVID პანდემიის გამო ვერ მოხერხდა ცნობიერების ამაღლების მიზნით საგაზაფხულო ბანაკების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება, პროექტი ასევე ითვალისწინებს ღონისძიებებს გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომების შესახებ ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით და სხვა თანმხლები ღონისძიებებს.			
მოსალოდნელი შედეგი		გაუმჯობესებული მწვანე გარემო;			

პროგრამის დასახელება	კოდი	ნაგავშემკრები კონტეინერები	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	03 05		54,0	0,0	0,0
პროგრამის განმახორციელებელი		წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)			
განმარტება		პროგრამის ფარგლებში გატვალისწინებული იყო ნაგვის ნარჩენების მოგროვებასათვის შეძენილ იქნება 100 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი. სადაც დაზუსტებულ ასიგნებასა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30%-ს, რაც გამოწვეული იქნა ტენდერი გამოცხადდა 2020 წლის ბოლოს და გაგრძელდება 2021 წელს.			
მოსალოდნელი შედეგი		- მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა.			

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსება 2020 წლის გეგმით განისაზღვრა 4756,0 ათასი ლარით. ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 4209,7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 88,5%-ია.

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2020 წლის ბიუჯეტი			2020 წლის იანვარ - დეკემბრის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი (%)
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
04 00	განათლება	4,756.0	2,413.7	2,342.3	4,209.7	2,062.5	2,147.1	88.5
04 01	საბავშვო ბაღების გაერთიანება	2,342.3	0.0	2,342.3	2,147.1	0.0	2,147.1	91.7
04 02	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია	2,413.7	2,413.7	0.0	2,062.5	2,062.5	0.0	85.5



საბავშვო ბაღების გაერთიანების პროგრამის დაფინანსება 2020 წლის გეგმით განისაზღვრა 2342,3 ათასი ლარით. აღნიშნული პერიოდისათვის საკასო ხარჯმა შეადგინა 2147,1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91,7%-ია.

პროგრამის დასახელება	კოდი	საბავშვო ბაღების გაერთიანება	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	04 01		2342,3	2147,1	91,7
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება				
განმარტება	პროგრამის ფარგლებში აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების სუბსიდირება, რის ფარგლებში მოხდა სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელთა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაფინანსება. აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე მდგომარეობის გამო გაერთიანების ყველა ბაღში შეწყდა სასწავლო - სააღმზრდელო პროცესი და ამ გარემოებიდან გამომდინარე 1800 ბავშვზე გაიცა საკვები პროდუქტები პერიოდულად. პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდა გაერთიანების 23-ე საბავშვო ბაღში ს.ს. „ენერგო პრო ჯორჯიას“ მიერ გარე ელექტრო ქსელის მოწყობის სამუშაოები.				
მოსალოდნელი შედეგი	სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.				

საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაციის პროგრამის დაფინანსება 2020 წლის გეგმით განისაზღვრა **2413,7** ათასი ლარით. აღნიშნული პერიოდისათვის საკასო ხარჯმა შეადგინა 2062,5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 85,5%-ია.


პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	04 02		2413,7	2062,5	85,5
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)				
განმარტება	საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დეღეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით პროგრამის ფარგლებში აღნიშნულ პერიოდში დაფინანსდა სასწავლო პროცესის პერიოდში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა და საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული სამუშაოები.				
მოსალოდნელი შედეგი	დეღეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საჯარო სკოლების ხელშეწყობა				

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსება 2020 წლის გეგმით განისაზღვრა **2123,2** ათასი ლარით. ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 2043,5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96,2%-ია.

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2020 წლის ბიუჯეტი			2020 წლის იანვარ - დეკემბრის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი (%)
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	2,123.2	0.0	2,123.2	2,043.5	0.0	2,043.5	96.2
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	854.8	0.0	854.8	825.0	0.0	825.0	96.5
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	9.0	0.0	9.0	7.2	0.0	7.2	80.3
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	845.9	0.0	845.9	817.8	0.0	817.8	96.7
05 01 02 01	წყალტუბო არენა	104.6	0.0	104.6	104.5	0.0	104.5	100.0
05 01 02 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	409.6	0.0	409.6	393.3	0.0	393.3	96.0
05 01 02 04	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	331.7	0.0	331.7	320.0	0.0	320.0	96.5
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,266.0	0.0	1,266.0	1,217.3	0.0	1,217.3	96.1
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,106.6	0.0	1,106.6	1,067.5	0.0	1,067.5	96.5
05 01 01	წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	443.1	0.0	443.1	430.3	0.0	430.3	97.1
05 01 02 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	566.3	0.0	566.3	546.6	0.0	546.6	96.5
05 02 01 03	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	97.2	0.0	97.2	90.6	0.0	90.6	93.2
05 02 02	კულტურული ღონისძიებები	59.4	0.0	59.4	49.8	0.0	49.8	83.8
05 02 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0	100.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2.3	0.0	2.3	1.2	0.0	1.2	52.2

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი



სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსება 2020 წლის გეგმით განისაზღვრა **854,8** ათასი ლარით. აღნიშნული პერიოდისათვის საკასო ხარჯმა შეადგინა 825,0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96,5%-ია. ხოლო აღნიშნული პროგრამის სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა შესრულდა 80,3%-ით (2020 წლის გეგმით განისაზღვრა 9,0 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულება 7,2 ათასი ლარი), სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა კი შესრულდა 96,7%-ით (2020 წლის გეგმით განისაზღვრა 845,9 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულება 817,8 ათასი ლარი). სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ცალკეული ღონისძიებების შესრულება კი შემდეგნაირად განხორციელდა: წყალტუბო არენა 2020 წლის გეგმით განისაზღვრა 104,6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 104,5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100,0%-ია. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების 2020 წლის გეგმით განისაზღვრა 409,6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 393,3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96,0%-ია. ხოლო სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია და მშენებლობის პროგრამა 2020 წლის გეგმით განისაზღვრა 331,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 320,0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96,5%-ია.

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	05 01		854,8	825,0	96,5
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)				

ელეგელი		
განმარტება	პროგრამის ფარგლებში აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება და სპორტული ობიექტების დაფინანსება. ასევე მოხდა სპორტული მოედნების მოწყობა - რეაბილიტაცია.	
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა;	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	05 01 01		9,0	7,2	96,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)</i>				
განმარტება	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება დაფინანსება, მატ შორის წარმატებული სპორტსმენების სასკოლო სპორტული ოლიმპიადისათვის ფორმების შესყიდვა; ხოლო წლის განმავლობაში გეგმიდან ამოღებული იქნა ასევე სხვადასხვა აქტივობები COVID პანდემიიდან გამომდინარე.				
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლინება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და მასობრიობის ზრდა;				

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	05 01 02		845,9	817,8	96,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)</i>				
განმარტება	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტული დაწესებულებების დაფინანსება სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; სპორტული ტრადიციების დაცვის, გაღმავების, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის; სპორტის განვითარების; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისათვის.				
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა				

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბო არენა	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	05 01 02 01		104,6	104,5	100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წყალტუბო არენა				
განმარტება	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ა(ა)იპ წყალტუბო არენას დაფინანსება წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსებისათვის. რის ფარგლებშიც განხორციელდა მინდვრის საფარის მოვლა- აღდგენა და სხვადასხვა ღონისძიებები.				
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას.				

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	05 01 02 02		409,6	393,3	96,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წყალტუბო მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება				
განმარტება	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ა(ა)იპ წყალტუბო მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების სუბსიდირება, სადაც ფუნქციონირებს 4 კლუბი: ხელბურთის, ფრენბურთის, სარაგბო და ფალავანთა კლუბი. ასევე ფუნქციონირებს კალათბურთის, მძლეოსნობის, მკლავჭიდის, კრივის, ქართული ჭიდაობის, ძალოსნობის, მაგიდის ჩოგბურთის და ჯადრაკის სექციები. კლუბებსა და სექციებში მომეცადინე სპორცმენთა რაოდენობა ითვლის 425 სპორტსმენს, რომელთა სხვადასხვა კატეგორიამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ჩატარებულ ტურნირებსა და ჩემპიონატებში. აქვე აღსანიშნავია რომ COVID პანდემიამ გამოიწვია რიგი ღონისძიებების შეჩერება.				
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული კლუბებით და სექციებით სარგებლობა.				

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	05 01 02 04		331,7	320,0	96,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)				
განმარტება	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტული მოედნების რეაბილიტაცია - მოწყობის დაფინანსება სოფ. მაღლაკში, სოფელ ჟონეთში, სოფელ წყალტუბოში და ქალაქ წყალტუბოში თამარ მეფის, შანიძის, ტაბიძისა და კეცხოველის ქუჩებზე და სხვა. ასევე დაკავებული საგარანტიო თანხების ანაზრაურება.				
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა.				

კულტურის სფეროს განვითარების პროგრამის დაფინანსება 2020 წლის გეგმით განისაზღვრა 1266,0 ათასი ლარით. აღნიშნული პერიოდისათვის საკასო ხარჯმა შეადგინა 1217,3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96,1%-ია. ხოლო აღნიშნული პროგრამის კულტურის სფეროს დაწესებულებების ქვეპროგრამა შესრულდა 96,5%-ით (2020 წლის გეგმით განისაზღვრა 1106,6 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულება 1067,5 ათასი ლარი). კულტურის სფეროს დაწესებულებების ქვეპროგრამის ცალკეული ღონისძიებების შესრულება კი შემდეგნაირად განხორციელდა: წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი 2020 წლის გეგმით განისაზღვრა 443,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 430,3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97,1%-ია. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი 2020 წლის გეგმით განისაზღვრა 566,3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 546,6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96,5%-ია. ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის დაფინანსება 2020 წლის გეგმით განისაზღვრა 97,2 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 90,6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93,2%-ია.

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	05 02		1266,0	1217,3	96,1
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)				
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორიცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი. ასევე მოხდება რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.				
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა				
პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	05 02 01		1106,6	1067,5	96,5
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)				
განმარტება	პროგრამის ფარგლებში აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში მოხდა კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი.				

მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა	
--------------------	---	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი		2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	05 02 01 01	წყალტუბოს ზავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	443,1	430,3	97,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს ზავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი				
განმარტება	ქვეპროგრამის ფარგლებში ახალგაზრდობის ინტელექტუალური, პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით დაფინანსდა ა(ა)იპ წყალტუბოს ზავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, სადაც ირიცხება 660 მოსწავლე მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში (18 წრე - 440 მოსწავლე), თეიმურაზ კობახიძის სკოლასა (146 მოსწავლე) და სამხატვრო სკოლაში (114 მოსწავლე). თუმცა აღნიშნული პერიოდისთვის შეფერხდა რიგი ღონისძიებები - აქტივობები COVID პანდემიიდან გამომდინარე.				
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდები და მათი თავისუფალი დროის გონივრული გამოყენება.				

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	05 02 01 02		566,3	546,6	96,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი				
განმარტება	ქვეპროგრამის ფარგლებში მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაციის; შემოქმედებითი უნარების განვითარების; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდისა და ჩართულობის გაზრდის მხრივ დაფინანსდა ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი. სადაც ამ მხრივ მოეწყო აღნიშნულ პერიოდში რამოდენიმე ღონისძიება გ. ახვლედიანის სახ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ვიქტორინა - კონკურსი „მეფე, პოეტი, სარდალი დავით აღმაშენებელი“, მთავარ ბიუბლიოთეკაში გაიმართა „ლიტერატურული კონკურსი 2020“ და სხვა. თუმცა აღნიშნული პერიოდისთვის შეფერხდა რიგი ღონისძიებები - აქტივობები COVID პანდემიიდან გამომდინარე.				
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდები .				

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	05 02 01 03		97,2	90,6	93,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი				
განმარტება	ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელების, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის, შიდა ტურიზმის სრული კოორდინაციის და კურორტის პოპულარიზაციის მიზნით დაფინანსდა ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი. თუმცა აღნიშნული პერიოდისთვის შეფერხდა რიგი ღონისძიებები - აქტივობები COVID პანდემიიდან გამომდინარე.				
მოსალოდნელი შედეგი	ტურისტული ზონის, როგორც რეკრეაციული , ბალნეოლოგიური და სამკურნალო ტურიზმის კომპლექსის მიმზიდველი იმიჯის ფორმირება.				

კულტურული ღონისძიებების ქვეპროგრამის დაფინანსება 2020 წლის გეგმით განისაზღვრა **59,4** ათასი ლარით. აღნიშნული პერიოდისათვის საკასო ხარჯმა შეადგინა 49,8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 83,8%-ია.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებები	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	05 02 02		59,4	49,8	83,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)				
განმარტება	ქვეპროგრამის ფარგლებში აღნიშნულ პერიოდში დაფინანსდა რამდენიმე ღონისძიება საახალწლო ღონისძიება, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში წყალტუბოელ წარმატებულ 20-მდე ქალბატონს გადაეცა სიმბოლური საჩუქრები და სხვა. თუმცა აღნიშნული პერიოდისთვის გეგმიდან ამოღებულ იქნა რიგი ღონისძიებები და აქტივობები COVID პანდემიიდან გამომდინარე.				
მოსალოდნელი შედეგი	კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება;				

რელიგიური ორგანიზაციების ხელისშეწყობის ქვეპროგრამის დაფინანსება 2020 წლის გეგმით განისაზღვრა **100,0** ათასი ლარით. აღნიშნული პერიოდისათვის საკასო ხარჯმა შეადგინა 100,0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ია.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	05 02 03		100,0	100,0	100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური), წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)				
განმარტება	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებისა და ეკლესიების რეაბილიტაციასა და ახალის მშენებლობას.				
მოსალოდნელი შედეგი	ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობა.				

ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსება 2020 წლის გეგმით განისაზღვრა **2,3** ათასი ლარით. აღნიშნული პერიოდისათვის საკასო ხარჯმა შეადგინა 1,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 52,2%-ია, სადაც დაზუსტებულ ასიგნებასა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30%-ს, რაც გამოწვეული იქნა რიგი ღონისძიებების შეფერხებით COVID პანდემიიდან გამომდინარე.

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	05 03		2,3	1,2	52,2
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)				
განმარტება	პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ახალგაზრდობის მხარდაჭერა, კერძოდ წყალტუბოს საკრებულოს ახალგაზრდული საკრებულოს წევრები მივლინებული იქნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის დედაქალაქ ბაქოში მასშტაბურ პროექტში „ქართული დღეები ბაქო 2020“ მონაწილეობისათვის. ხოლო სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება შეფერხდა COVID პანდემიიდან გამომდინარე.				
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდები და მათი თავისუფალი დროის გონივრული გამოყენება; მასობრივ ახალგაზრდულ ღონისძიებებში ახალგაზრდების ჩართულობა;				


მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსება 2020 წლის გეგმით განისაზღვრა 1716,5 ათასი ლარით. ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 1666,7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97,1%-ია.

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2020 წლის ბიუჯეტი			2020 წლის იანვარ - დეკემბრის ფაქტი			გეგმის შესრულების მაჩვენებელი (%)
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,716.5	68.1	1,648.3	1,666.7	66.2	1,600.5	97.1
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	96.1	62.1	33.9	93.5	60.2	33.4	97.4
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	96.1	62.1	33.9	93.5	60.2	33.4	97.4
06 02	სოციალური პროგრამები	1,620.4	6.0	1,614.4	1,573.1	6.0	1,567.2	97.1
06 02 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	224.8	0.0	224.8	215.1	0.0	215.1	95.7
06 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღევანდელ პირთა დახმარება	1.0	0.0	1.0	1.0	0.0	1.0	100.0
06 02 03	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	95.0	0.0	95.0	95.0	0.0	95.0	100.0
06 02 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	13.1	6.0	7.1	12.1	6.0	6.1	92.3
06 02 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება	621.7	0.0	621.7	621.0	0.0	621.0	99.9
06 02 06	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	110.5	0.0	110.5	99.2	0.0	99.2	89.8
06 02 07	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება	502.3	0.0	502.3	477.7	0.0	477.7	95.1

06 02 08	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება	52.0	0.0	52.0	52.0	0.0	52.0	100.0
----------------	--	------	-----	------	------	-----	------	-------

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა



ჯანმრთელობის დაცვის პროგრამისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ქვეპროგრამის დაფინანსება 2020 წლის გეგმით განისაზღვრა **96,1** ათასი ლარით. საკასო ხარჯმა შეადგინა 93,5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97,4%-ია.

პროგრამის დასახელება	კო დი	ჯანმრთელობის დაცვა	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	06 01		96,1	93,5	97,4
პროგრამის განმახორცი ელელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი				
განმარტება	პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებითა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დაფინანსებას, რათა განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებები.				
მოსალოდნ	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება				

ელი შედეგი		
---------------	--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	06 01 01		96,1	93,5	97,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	<i>ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი</i>				
განმარტება	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება, მათ შორის მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხევედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნიზაციის პოლიტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესით, C ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა, რისთვისაც სუბსიდირებული იქნა ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომელიც ასევე აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ პერიოდში გავრცელებულ covid 19-ის პრევენციულ ღონისძიებებში.				
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება				

სოციალური პროგრამების დაფინანსება 2020 წლის გეგმით განისაზღვრა 1620,4 ათასი ლარით. საკასო ხარჯმა შეადგინა 1573,1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97,1%-ია. აღნიშნული პროგრამის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის ქვეპროგრამის შესრულების მაჩვენებელი კი 95,7-ია (2020 წლის გეგმა 224,8 ათასი ლარი და საკასო შესრულება 215,1 ათასი ლარი), მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარების ქვეპროგრამის დაფინანსება გეგმით განისაზღვრა 1,0 ათასი ლარი ხოლო საკასო ხარჯი 1,0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ქვეპროგრამის დაფინანსების შესრულების მაჩვენებელი 100%-ია (2020 წლის გეგმა 95,0 ათასი ლარი და საკასო შესრულება 95,0 ათასი ლარი), მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯის ქვეპროგრამის დაფინანსების შესრულების მაჩვენებელი 92,3%-ია (2020 წლის გეგმა 13,1 ათასი ლარი და საკასო შესრულება 12,1 ათასი ლარი), მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარების ქვეპროგრამის დაფინანსების შესრულების მაჩვენებელი 99,9%-ია (2020 წლის გეგმა 621,7 ათასი ლარი და საკასო შესრულება 621,7 ათასი ლარი), ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის ქვეპროგრამის დაფინანსების შესრულების მაჩვენებელი 89,9%-ია (2020 წლის გეგმა 110,5 ათასი ლარი და საკასო შესრულება 99,2 ათასი ლარი), მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსების ქვეპროგრამის დაფინანსების შესრულების მაჩვენებელი 95,1%-ია (2020 წლის გეგმა 502,3 ათასი ლარი და საკასო

შესრულება 477,7 ათასი ლარი), სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარების ქვეპროგრამის დაფინანსების შესრულების მაჩვენებელი 100%-ია (2020 წლის გეგმა 52,0 ათასი ლარი და საკასო შესრულება 52,0 ათასი ლარი).

ქვეპროგრამის/დონისძიების დასახელება	კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	06 02 01		224,8	215,1	95,7
ქვეპროგრამის/დონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი				
განმარტება	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსება, კერძოდ სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მათი უზრუნველყოფა კვებით. 2020 წლის მიმდინარე პერიოდისთვის პროგრამით სარგებლობს 190 ბენეფიციარი.				
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	სოციალურად დაუცველი და უკიდურესად შეჭირვებული მოსახლეობის საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება.				

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღევრძელ პირთა დახმარება	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	06 02 02		1,0	1,0	100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)				
განმარტება	ქვეპროგრამის ფარგლებში ფულადი დახმარება გაეწა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღევრძელ პირს (100 და მეტი წლის ასაკის).				
მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება				

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	06 02 03		95,0	95,0	100,0
განმარტება	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)				

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწა დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მშობლები ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით: ა) მესამე შვილის შეძენისას – 500 ლარი, ბ) მეოთხე შვილის შეძენისას – 700 ლარი, გ) მეხუთე და მეტი შვილის შეძენისას – 1000 ლარი, დ) ერთი და მეტი ტყუპის შეძენისას – 500 ლარი; ე) სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულ), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი გაიცეს ერთჯერადად 300 ლარი. ამ სოციალური პროგრამის ცალკეული ქვეპუნქტების ერთობლივად დადგომის შემთხვევაში თითოეული დახმარება გაიცემა ქვეპროგრამაში გათვალისწინებული შესაბამის მოცულობათა ერთობლიობით. ამ სოციალური პროგრამის ა, ბ, გ, დ, პუნქტები გავრცელდა იმ ოჯახებზე, რომელთა შვილები დაიბადა 2019-2020 წლებში და არ აქვთ მიღებული ერთჯერადი დახმარება.	
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით	

	კოდი		2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
ქვეპროგრამის დასახელება	06 02 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	13,1	12,1	92,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)				
განმარტება	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, ასევე უჭირისუფლო გარდაცვლილების დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება, თითოეულზე 250 ლარის ოდენობით.				
მოსალოდნელი შედეგი	სარიტუალო მომსახურებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარი				

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	06 02 05		621,7	621,0	99,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)				
განმარტება	აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება შემდეგ კატეგორიებზე: ა) სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 65000-დან 100001-ის ქულის ჩათვლით და ღებულობს საარსებო შემწეობას - 250 ლარი.				

	ბ) დიდი სამამულო ომის მონაწილის დახმარება – 500 ლარი; გ) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე პირის დახმარება –350 ლარი; დ) დედ-მამით ობოლი ბავშვის დახმარება – 500 ლარი; ე) ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირის დახმარება – 500 ლარი; ვ) ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ ბენეფიციარის დახმარება სააღდგომოდ 100 ლარი და საახალწლოდ 100 ლარი. ზ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დახმარება, რომელსაც სტატუსი მიენიჭა თვალის დაავადების დიაგნოზით – 250 ლარი; თ) თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე: ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქის დახმარება –1800 ლარი; ი) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის დახმარება, გარდა ცერებრალური დამბლით დაავადებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვისა - 300 ლარი; კ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის, სახელმწიფო გასაცემის (კონსპეცია, საპენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღების დახმარება 350 - ლარი; ლ) სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ომის მონაწილის დახმარება თითოეულს - 350 ლარი. მ) 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირის ოჯახის (ოჯახის წევრის რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად) ფულადი დახმარება - 1800 ლარი; ნ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახის, პირის (საცხოვრებელი სახლი დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა გარემოების გამო) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ანაზღაურება თვეში არაუმეტეს 150 ლარისა, წლის განმავლობაში არაუმეტეს 1800 ლარისა. ო) ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის (პირთა) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ანაზღაურება თვეში არაუმეტეს 150 ლარი, წლის განმავლობაში არაუმეტეს 1800 ლარი. პ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის დახმარება (გინეკოლოგის ან / და რეპროდუქტოლოგის დახმარება კონსულტაცია ან / და შესაბამისი სამედიცინო კვლევები) არაუმეტეს 200 ლარი. ჟ) 2020-2021 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი „ჩვენი სახლის“ ბენეფიციარი ბავშვის დახმარება 100 ლარი. რ) სოციალურად დაუცველ ოჯახის, რომლიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 0-დან 65 000 -ი ქულის ჩათვლით, პირველ და მეორე ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება - 300 ლარი. ს) სადღესასწაულოდ (აღდგომა) სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 65000-მდე ქულის ჩათვლით რეგისტრირებულ), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი, დედ-მამით ობოლი ბავშვის, 100 წელს გადაცილებული პირის, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის კვების პროდუქტებით დახმარება, თითოეულ ოჯახს არაუმეტეს 50 ლარის ღირებულების. ტ) ონკოლოგიური დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვის (ლეიკემია, ლიმფოგრანულომატოზი, ანემია, სხვადასხვა სახის სიმსივნეები) დახმარება - 500 ლარი.	
--	---	--

	უ) ფენილკეტონურიით დაავადებულ 18 წლამდე ბავშვის დახმარება - 500 ლარი. ფ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის დახმარება -300 ლარი. ქ) ფსორიოზით დაავადებულ პირთა დახმარება -200 ლარი. ღ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან ან მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხული ახალგაზრდების (18-21წელი) ბინის ქირით უზრუნველყოფა საცხოვრებლის არარსებობის შემთხვევაში - ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით. წელიწადში 1800 ლარი. ყ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსება, რომლებიც სწავლობენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მათი სოციალური მდგომარეობა მძიმეა მშობლების: გარდაცვალების, უგვზოუცვლოდ დაკარგვის, მარჩენალის დაკარგვის, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში მსჯავრდებულის პატიმრობაში ყოფნის გამო. სტუდენტების თანადაფინანსება გადასახდელი თანხის 50% არაუმეტეს 2000 ლარისა. ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები, თანადაფინანსება გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს 2000 ლარისა. შ) სპეციალიზირებულ დაწესებულებიდან (მათ შორის მინდობით აღზრდიდან) ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან / მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნებულ თითოეულ ბავშვს, ოჯახის გაძლიერების მიზნით დახმარება წელიწადში ორჯერ, ექვს თვეში ერთხელ 250 ლარი, წელიწადში 500 ლარი. ჩ)სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომლებიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული არიან 0-დან 100 001-ი სარეიტინგო ქულით, ზამთრის სეზონთან დაკავშირებით, შემოს მომარაგების მიზნით, გადაეცათ მერქნული რესურსი (შეშა) თითოეულს 3 (სამი) კუბური მეტრის ფარგლებში. ამ სოციალური პროგრამის ცალკეული ქვეპუნქტების ერთობლივად დადგომის შემთხვევაში თითოეული დახმარება გაიცა ქვეპროგრამაში გათვალისწინებული შესაბამის მოცულობათა ერთობლიობით.	
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა და სადღესასწაულო წახალისება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	2020 წლის გეგმა ათას ლარში	2020 წლის ფაქტი ათას ლარში	ცდომილების მაჩვენებელი %
	06 02 06			
	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	110,5	99,2	89,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)ბ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი			
განმარტება	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე 14 ბენეფიციარის (უნარშეზღუდულ ბავშვთა) ზრდა - განვითარების ხელშეწყობას, მათი იზოლაციიდან გამოყვანასა და საზოგადოებასთან ინტეგრაციას.			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარების (უნარშეზღუდულ ბავშვთა) ზრდა - განვითარების ხელშეწყობა.			

